წელიწადი I-ლი

ოთხშაბათი 10 ნოემბერი

ფასი 15 მან.

# ბათომის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 300 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.
4 " " " . . . 15 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.
რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზედ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის, ხარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შაქესპის სრამბაში 10 საათ. სად. 3ს.

№ 51 ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო № 51

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროძაძ-სხირტლაძის

შაბათიდან 6 ნოემბრიდან 1920 წ. იჩვენება სავანგებო ახალი სურათი
გადაღებული იალთაში ცნობილი ნ. ი. ერმოლევის ფაბრიკის მიერ.
მთავარ როლს შეასრულებს ცნობილი აქტრისა ი. კოვანკო.

დაკარგული ოცნება

დრამა 5 დიდ განყოფილებით.

ანონსი. ამ დღეებში იქნება ნაჩვენები სენსაციური სურათი
თ ე თ რ ი კ ბ ი ლ ე ბ ი ა ნ ი მ ა ს კ ა
ცნობილი პ ი რ ლ-უ ა ი ტ ი.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

კვირიდან 7 ნოემბერს ნაჩვენები პირველათ ბათომში მხატვრული სურათი
აღებული ლ. ნ. ტოლსტოის უკვდავი რომანიდან

ანნა კარენინა

დრამა 5 განყოფილებით. მონაწილეობას იღებს საუკეთესო ანსამბლი.

ანონსი. ამ დღეებში იქნება ნაჩვენები სენსაციური სურათი
თეთრ კბილებიანი მასკა
ცნობილი მის პირლ უაიტი.

შმაევსკის თეატრი

| სახალხო წარმოდგ. მმართველი წრე |

№ 9.

ოთხშაბათი 10 ნოემბერი
წარმოდგენილ იქნება
სით ქანტურიშვილი

ბ უ რ უ ს ი

3 მოქ.

რეჟისორი ივ. ბარველი.

მონაწილეობენ: აბაკელია პ., აფხაიძე მ., ბარველი ივ., მარგველაშვილი ვ., მდივანი მ, მალალაშვილი გ. ძნელაძე დ, ლამბაშიძე შ.,
ადგილების ფასი ჩვეულებრივია ◆ დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

შემდეგი წარმოდგენა ოთხშაბათს, 17 ნოემბერს მზადდება ფოოსის ცნობილი დრამა „დამნაშავეა“.

სახ. წარმ. მმართველი წრის ადმ-ცია.

ექიმი ი. ლ. პაპავა

ღებულობს შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული სუსუნატი) და სიფილისით ავათმყოფთ (შეშხაპუნება 606 და 914).
ყოველ დღე სიღამოს 5—7 საათამდე.
აზიზიეს მოედანი, სახალხო გვარდიის შტაბის გვერდით.

ოლღას და შეპელევის ქუჩის კუთხეში ქალთა წრის გამგეობის მიერ

გაიხსნა

ლ ო ტ ო.

საქველმოქმედო მიზნით.

ლოტო ღია იქნება საღამოს 7—11 საათ.

საზღვაო სააგენტო მ. ს. მანუილიდისა.

გემი „შეფილდი“ ინგლისის დროშის ქვეშ მოვიდა კონსტანტინეპოლიდან, და დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დამთავრების შემდეგ ამა წლის 11 ნოემბერს დაბრუნდება კონსტანტინეპოლში, იღებს ბარგს და 1 და 2 კლასის მგზავრებს.



გამყრელიძის ცირკი.

ოთხშაბათს 10 ნოებერს

გრანდიოზული

წარმოდგენა.

ჭიდაობს 3 წყვილი.

1. მუშა—გენჯა-ალის წინაღმდ.
2. ზაგოროიკო—მოზინგის წინაღმდ.
3. მურომეცი—ჟან დე-კოლონის წინაღმდ.

ამ დღეებში გაიმართება ??? დიდი ბენეფისი.

## ბათუმი, 10 ნოემბერი.

ქემალმა სომხეთის დასაპყრობი ოპერაციები შემოდგომის მიწურულში დაიწყო.

კავკასიაში წელს დიდი ზამთარი სდგება და ამიტომ მოსალოდნელია ქემალს სული ჩაეჯუშოს თავის გეგმები ამიერ-კავკასიის მიმართულებით. მცირე აზიიდან ამ ზამთარში ჯარის გადმოყვანა თითქმის მოუხერხებელი გახდება თოვლ-დიდობის გამო (უმთავრესი გზა-ბილიკები უკვე დათოვილია) და ამას ზედ უნდა დაერთოს ის გარემოება, რომ ქემალის ზურგში ყველაფერი წესრიგზე ვერ არის. ბერძნის ჯარი ქ. ბრუსას ესხმის თავს, ტრაპიზონის მიდამოებში დიდ ბერძნულ რაზმის გადმოსხმას ელიან დღე-დღეზე. ასეთი სიტუაცია, თქმა არ უნდა გაამხნევებს სომხეთს, რომელიც რამდენიმე თავდადებულ გაბრძოლების შემდეგ უთუოდ დაიხსნის სამშობლოს და განდევნის მტერს.

სომხეთმა უნდა გაითვალისწინოს თუ რა მოელის ქემალს როცა საბერძნეთის ჯარები მას ზურგს გაუტეხენ და უკან დასახევ გზას მოუჭრიან. სომხეთმა ძალები უნდა მოიკრიბოს და გადამწყვეტი ომი უნდა გაუმართოს მტერს.

სომხეთის ხალხმა ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ყველაფერი უნდა შესწიროს, და მაშინ ბრწყინვალე გამარჯვებაც სომხებს დარჩებათ...

საქართველოში ოდნავადაც ვერავის ექნება შიში ქემალის ლაშქრობის, რადგან ეს ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ არაფერს ნიშნავს თუ მას მოულოდნელად ახალი მოკავშირე არ ამოუდგა გვერდით. ამ დროისთვისაც არ არის ქემალი დაზღვეული ბაქოს სკანდალისგან, რაც ოსმალეთის იმპერიალიზმს სამარეთ გადაექცევა.

ქემალი შესაძლოა ბაქომდე მივიდეს, მაგრამ აქ უთუოდ დაემხობა.

ბაქოს, ისე როგორც ამიერ-კავკასიას, ქემალ ფაშები ვერასოდეს ვერ დაეპატრონებიან და მათ გამოლაშქრებას დროებით მეამბოხური ხასიათი აქვს. უსაქმური გამდგარი ფაშა გენერალი ბედს ეძიებს, რომელსაც ბედი ბუნებრივ დასკვნით გარიყავს სინამდვილის აქეთ, თუ მას, როგორც ვსთქვით, ახალი ფორმაციის მოკავშირე არ გამოიყენებს ბრმა იარაღად ისეთ მიზნების გასანამდვილებლად, რომლებსაც ოსმალეთის ბედის ტრიალთან და ამ ნაციის ინტერესთან საერთო არაფერი აქვს. უნდა ველოდეთ ეს მოკავშირე ამი-

ერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებისადმი დაწყებიებს ქემალს ავანტიურის.

საქართველო ყოველ შემთხვევისთვის მზად იქნება.

## სამუსლიმანო მხარეებისთვის.

დამფუძნებელ კრებას არა ჩვეულებრივი სხდომა ქონდა ხუთ ამ თვეს სახელმწიფოს თანდროულ საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ.

დამფუძნებელ კრებაში სხვათა შორის ილაპარაკეს ქართველ მუსლიმანების შესახებ.

საქართველოს სახელმწიფო სცოცხლობს ხალხის აბსოლიუტურ სიერთგულით და ხალხის სწორ ნების ყოფით.

საქართველოს რესპუბლიკა უმწეო ყოფაში ჩავარდებოდა, რომ მას ხალხის ნდობა მოჰკლებოდა.

საქართველოს მთავრობას, რომელიც დამფუძნებელი კრებისაგან არის არჩეული ბევრი კრიზისი გადაუტანია, მრავალი თავდამსხმელი მტერი უკუ უქცევია.

დღესაც ერს განსაცდელი ელის, ქართველი ხალხი თავის ნდობით და მარჯვენით გააძლიერებს მთავრობას. მთავრობას ასეთივე სრული ნდობა ეპირება ქართულ სამუსლიმანო კუთხეებშიც.

რესპუბლიკის სამუსლიმანო კუთხეები, სასაზღვრო მიდამოებში რომ მდებარეობენ, მტერს მადას უღვიძებენ, მტერს ჰგონია, რომ ასეთი კუთხეები მის მხარეზე იქნება, მშობელ სახელმწიფოს ზურგს შეაქცევს.

შესაძლოა რომელიმე პროვინციიდან მტერმა რეალურად ამის ცხად საყოფელი ნიშანიც მიიღო, მაგრამ ამ გარემოებამ ჩვენ არც უნდა ავაღელვოს და არც უნდა განგვაცვიფროს.

სამუსლიმანო პროვინციები კულტურულად უმდაბლეს საფეხურზე სდგანან, გარდა ამისა ამ პროვინციებს კიდევ აფარებენ თავს მუქთახორა მშრომელი ხალხის ექსპლოატატორები, რომლებიც ხშირად ხალხის სახელით ვაჭრობენ პოლიტიკურ ავანტურის გზაზე.

სამუსლიმანო საქართველოში უკანასკნელი ხუთეული წელი არა ნორმალურ პირობების წლეებია.

მუდმივ საომარ ასპარეზად გახდომის ლოდინში იყო ხალხი.

1915 წ. და 1918 წ. ბათომის მხარეს შემოესიენ თურქნი-ოსმალონი და ააწიოკ-აიკლეს ეს მხარე. ახლაც, რომ შემოსევა განმეორდეს ყველაზე უფრო სამუსლიმანო პროვინციები დაგვიზარალდება.

საქართველოს მთავრობას ჰმართებს ყოველივე ეს მოსალოდნელობა ააშოროს ხალხს თავიდან და მაგრად ჩაჰკეტოს საზღვართ სერები სამუსლიმანო ადგილებში.

მთავრობამ უნდა მისცეს აჭარ ხალხს ყველა ის, რაც მას ყოფა-ცხოვრებისთვის ზნეჩვეულებისთვის აუცილებლობადაა წარმოდგენილი, ამ საგანზეც იყო თქმული სიტყვა დამფუძნებელ კრებაში. სამუსლიმანო საქართველოს დამფუძნებელ კრებისგან ავტონომია ეძლევა, მაგრამ განსაკუთრებულ მდგომარეობის გამო მთავრობა იძულებული ხდება აქ დროებით ისევ დასტოვოს საგანგებო მმართველობა. ქართველ ერის უზენაეს ორგანოს ასეთმა განცხადებამ უნდა დაადუმოს მტრები, დააყენოს გველთა პროვოკაციული სისინი.

მუსლიმანი ქართველობა დღეს უნდა იგრძნოს ქართველ სახელმწიფოსადმი უმაღლესად პატივისმცემელი და არც ერთ თუნდაც უჩინარ მოვლენას, რომელსაც შეეძლებოდეს მტრების გახარება, აქ ადგილი არ უნდა ექმნეს.

თავის სიდინჯით და მთავრობის პოლიტიკისადმი სიერთგულით ქართველი მუსლიმანები მზადებით უნდა შეხვდენ მომავალ ავტონომიას.

ქართველი მუსლიმანები, რომელბიც ზედმიწევნით იცნობენ ოსმალეთს და კერძოთ ქემალ ფაშის სულის კვეთებას, ყურსაც არ უნდა უგდებდნენ შავ გულის კაცებს. საქართველოსადმი ზურგის შექცევას რომ ურჩევენ. ყოველ მუსლიმან ქართველს უნდა სდევდეს საშინელი ლანდი ოსმალთა შემოსევა გაქცევისა (1915 წ. 1918 წ.) და ქართველ მუსლიმან მუხაჯირთა ათასობით მოწამეური სიკვდილი ოსმალეთში.

ეხლა როცა ვერაგი „მრჩეველები" კვლავ დაიწყებენ ხალხის გაბედნიერებაზე ლაღადს, ხალხმა ისინი უნდა გააწბილოს!..

ქემალის ემისრების მუშაობა ხალხისგანვე უნდა მოისპოს ჩვენ მხარეში, ხალხი ამას იქმს, თუ მას თვალს აუხელთ, თუ მას დავანახვებთ შავს და თეთრს. ამაზე მერე.

ი. დიდიძე.

## სადღეისო შენიშვნები.

### მუშათა მოძრაობა იტალიაში.

„იტალიაში რევოლიუციონური მოძრაობა იზრდება", „იტალიის მუშები სალამს უძღვნიან კომუნისტურ რუსეთს", მუშებმა ქარხნები დაიკავეს და მწარმოებლები განდევნეს",—აი ასეთ ცნობებს გვაწვდიდა ბოლშევიკური რადიო მოსკოვიდან მთელი ერთი თვის განმავლობაში. ყველა ამ ცნობებს ისეთი კილოთი იძლეოდენ, თითქო მთელს იტალიაში კომუნისტური ცეცხლი გუზგუზებდა, რომელშიც აგერ-აგერ დაიწვება ჯიოლიტი თავისი კოლეგებით და „ყვითელი" სოციალისტ-გამყიდველებით. საქართველოს მუშებს საკმაო საბუთი აქვთ იჭვის თვალით მიეპყრან ყველა იმ ცნობებს რომელსაც მოსკოვის რადიო სადგური ასეთის გულუხვობითაწვდის მთელ მსოფლიოს. რასაკვირველია ტროცკის ტრაბახობით სავსე წერილები და ორმოცი სხვა და სხვა ქალაქების „პრავდის" მეთაურების რადიოთი გადაცემას ცოტაოდენი სარგებლობის მოტანა შეუძლია ქემალ-ფაშას სამფლობელოს ან ხივა-ბუხარის „პროლეტარიატში" საავიტაციო მიზნებისათვის. მაგრამ აქ კი, სადაც ევროპასთან უშუალო კავშირი გვაქვს, ბევრ ვერაფერ სარგებლობას მოუტანს „მსოფლიო რევოლიუციის შტაბს მოსკოვში", თუმცა ეს რადიო-იხვები რომ არ იყოს ბატონ ნარებს, კომუნიძეებს, გვქტორებს, კრედოებს და სხვა კალმოსნებს რუსულ-ქართულ „კომუნისტიდან" საწერი მასალა შემოაკლდებოდათ.

როგორც ვამბობდი მთელი ერთი თვის განმავლობაში მოსკოვის რადიო და რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლობის საინფორმაციო ბიურო ისეთ ცნობებს გვაწვდიდა იტალიაში დაწყებულ მოძრაობის შესახებ, თითქოს აგერ აგერ დაეცემოდა იტალიის ბურჟუაზიული მთავრობა და მათ ადგილს ბომბაჩი და სხვა იტალიელი კომუნისტი დაიჭერდა. ჩვენ იმდენათ დავეჩვიეთ კომუნისტურ სიცრუეს, რომ თავიდანვე სიფრთხილით ვეპყრობოდით ამ ცნობებს, რომელსაც პროპაგანდა—აგიტაციისათვის იყენებს საბჭოთა მთავრობა მართლაც: რა დიდილი არ იყოს რუსეთის პროლეტარიატი, ასეთი ცნობები, როგორიცაა მაგალითად: „გაფიცვები რუმინიაში საყოველთაო ხასიათს იღებენ". პოლონელები გლეხები მოითხოვენ საბჭოთა რუსეთთან დაუყონებლივ ზავის შეკვრას", არჩევნების შედეგში სამიათასამდე იტალიის ქალაქი სოციალისტების ხელში იქნება", ინგლისში მაღაროს მუშები წინააღმდეგი არიან შეთანხმების", ბულგარეთის პროლეტარიატი მხურვალად მიესალმება საბჭოთა რუსეთს", ბრძოლისათვის ახალ ძალებს მისცემენ მას, უკანასკნელ ძალებს მოაკრებიებენ. კომუნისტებსაც ეს უნდა.

ასეთ ფორმებში მოწოდებულ ცნობების წყალობით რუსეთის პროლეტარიატს დღესაც წამს, რომ ევროპის პროლეტარიატი მის გზას გაჰყვება, რომ ვენაში ბერლინში, პარიზში, რომში, ლონდონში და სხვაგან სულ ახლო მომავალში საბჭოთა წყობილება დამყარდება. რუსეთის მუშათა კლასი მოწყვეტილია ევროპას, მას ბოლშევიკურ რადიო-პროპაგანდის წყალობით სრულიად არა აქვს სწორი წარმოდგენა იმ მოძრაობაზე, რომელიც ევროპაში ხდება, რუსეთის მუშათა კლასი დღეს ბოლშევიკური სათვალეებით ავლებს თვალს მთელ სამყაროს და ყოველგან კომუნისტური აფეთქებანი და ცეცხლი ელანდება.

ჩვენ კი ამ მხრით უკეთეს პირობებში ვიმყოფებით, ევროპასთან, თუმცა ჯერ მოუწყობელი, მაგრამ მაინც კავშირი გვაქვს და ცოტა დაგვიანებით მაინც ვიგებთ თუ რა ხდება იქ.

აი ახლაც უცხოეთიდან მიღებულ გაზეთებიდან ვიგებთ სრულ სურათიმ მოძრაობისას, რომელიც იტალიაში დაიწყო და უკვე დამთავრდა.

მოძრაობას წმინდა ეკონომიური ხასიათი ქონდა: პროფ. კავშირების კონტროლი წარმოებაზე. იგი უარვყოფთ, რომ ამ მოძრაობას პოლიტიკური ხასიათიც ქონდა, რადგან პროლეტარიატის მონაწილეობა მრეწველობაში, მაჩვენებელია მისი პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდის.

ის ცნობები, რომელსაც ჩვენ გაზეთები გვაწვდის, ნათლათ ამტკიცებენ, რომ ამ მოძრაობას სრულებით არ ქონია ის ხასიათი რომელსაც ჩვენებური კომუნისტები აკისრებდენ მას. იტალიელი მაქსიმალისტები შეეცადნენ ეს მოძრაობა გამოეყენებიათ თავისი მიზნებისათვის: იტალიაში საბჭოთა წყობილების დასამყარებლად მოძრაობის გაძლიერებისათვის, მაგრამ ამაოთ, მათი მოძრაობის ინიციატივის ხელში აღების ცდა არ მოხერხდა მოძრაობის ინიციატივა სავსებით პროფ. კავშირების ხელში იყო. თუმცა გაზეთებში არ არის პირდაპირ მითითება, მაგრამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ექსცესები, რომელიც მოძრაობის პროცესში ხდებოდა, რუს კომუნისტების იტალიელ თანამოაზრეების მცირე ჯგუფის მუშაობის ნაყოფი იყო. რეფერენდუმით, რომელიც შრომის საყოველთაო კონფედერაციამ მოახდინა, გამოირკვა რომ იტალიის პროლეტარიატის 2/3 შეთანხმების მომხრეა. იტალიის მუშებმა გადაჭრით უარყვეს ის გზა, რომლით წასვლას ბოლშევიკები უკარნახებდენ.

იტალიის მუშათა პროფესიონალურმა მოძრაობამ მაქსიმალისტებზე გაიმარჯვა, ამავე დროს მან მეორე უდიდესი გამარჯვება მოიპოვა.

დღევანდელ გარდამავალ ხანაში, როცა წარმოების და მმართველობის ძველი ფორმები ირყევა, პროლეტარიატს, როგორც მშრომელ კლასს, როგორც მსოფლიო სიმდიდრის შემქნელ ძალას, ისტორია უდიდეს და მეტად პასუხისმგებელ როლს აკისრებს. მუშათა [illegible] დღევანდელი უკუღმართი ცხოვრება თანასწორობის პრინციპზე უნდა გარდაქმნას, მოწოდებულია საზოგადოების ინტერესების დარაჯად. მისთვის სულ ერთი არ არის თუ რა ცვალებადობას და სპეკულიაციის, კაპიტალისტ-ვაჭართა მადაგახსნილობის გავლენას განიცდის მისი შრომის ნაყოფი. პროლეტარიატი ვერ დაკმაყოფილდება იმით, რომ მან შრომისხელფასი მიიღო და კაპიტალისტს ვერ მისცემს უფლებას მუშის ხელით შექმნილი ღირებულება უკონტროლოდ, მხოლოდ თავის ჯიბის სასარგებლოთ მოიხმაროს. მუშათა კლასი გრძნობს, რომ (ჩვენებურ სპეკულიანტების სათაყვანებელი კერპის) კერძო ინიციატივის სრული თავისუფლებით (ე. ი. ვაჭარ-სპეკულიანტთან მადაგახსნილობით) შექმნილი ეკონომიური აწეწ-დაწეწა აწვება მასაც, როგორც საზოგადოების ნაწილს. მუშათა კლასს სურს იცოდეს თუ ვის და რა საჭიროება ხმარდება მის მიერ შექმნილი საქონელი ინგლისის მუშებმა პირველად გვიჩვენეს საზოგადოებრივი ინტერესების მაღალი შეგნების მაგალითი, როცა ლემინგტონის ყრილობაზე მ ღაროების მუშებმა ნახშირზე ფასების დაკლება მოითხოვეს.

იტალიის მუშებმა მიიღეს წარმოებაში კონტროლის უფლება. ამ გამარჯვებას ორი მეტად მნიშვნელოვანი მხარე აქვს: ერთის მხრით იტალიის მუშებს საშვალება აქვთ თვალყური ადევნონ ხმარდება თუ არა მათი შრომის ნაყოფი საზოგადოებრივ ინტერესებს, მეორე მხრით ის ეცნობა წარმოების წესებს და იღებს იქ წარმოების გაძღოლისათვის საჭირო ცოდნა-გამოცდილებას. ასეთი იყო იტალიის ლითონის დამმუშავებელ მუშების მოძრაობის ხასიათი, ბოლშევიკებმა მალავდენ მის ნამდვილ შინაარსს, დამალეს ამ მოძრაობის შედეგიც, რომელმაც მათი იმედები გაუცრუა.

ვ. წ—ძე.

## რადიო-ცნობები.

### ყირიმის ცნობები

ღამით 5 ნოემბერს წითელი ჯარები თავს დაესხა ჩვენს ნაწილებს, მაგრამ საარტილერიო ცეცხლით და ჩვენი კონტრ-იერიშით მტერი უკუ ვაქციეთ. მტრის მეორე ცდა ამ რაიონში შეტევაზე გადმოსვლის მოვიგერიეთ და მტერს დიდი ზარალი მივაყენეთ.

სხვა რაიონებში დიდი ცვლილებები არ მომხდარა.

ღამით 5 ნოემბერს წითლები შეეცადნენ მდინარე სივაშის მარცხენა ნაპირზე გადმოსვლას ჩვენმა სადარაჯო ნაწილებმა შეამჩნიეს მტერის მზადება და გააფრთხილეს ჩვენი არტილერია. ჩვენი არტილერია დაუყონებლივ მოემზადა ბრძოლისათვის. როგორც კი წითლებმა დაიწყეს მდინარეზე გადმოსვლა ჩვენმა არტილერიამ მათ სროლა აუტეხა. არც ერთი წითელი უკან არ დაბრუნებულა.

ფრანგები საბჭოთა რუსეთის შესახებ.

სოვდეპიიდან დაბრუნებულ პირთა შორის არიან ფრანგი კონსულებიც. როდესაც ოფიციალური პირები მივიდენ მათ შესახვედრათ პოლ ჟეროშ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც შემდეგი განაცხადა:

„როგორი წარმოდგენაც არ უნდა გქონდეთ თქვენ საბჭოთა რუსეთის შესახებ, თქვენ ჯერ არ გინახავთ (გამოტოვებულია) როგორი დაუჯერებელი არ უნდა იყოს ეს საში-

ეწიეთ ხოლოვეთ ყველა მაღაზიებში, კიოსკებში რესტორანებში, კაფე შანტანებში და დამტარებ. ახლად გამოშვებული საუცხოო ბმლი ი და არომ ტის.
პაპიროსები „გლორია“ ფრანგული სააქციონერო საზოგადოების „ხმელთა შუა კომერციული ბანკი.“
ბინიატ-ოღლის ქარხნის ფირმის პატრონისა.

ნელი ს ნამდვილე (გამოტოვებულია) ყაჩაღებმა (გამოტოვებულია) გადააქციეს ოდესღაც მშვენიერი ქვეყანა ინძურ კატორღათ, რუსეთის ხალხი კი—ყურმოჭრილ მონებად.

შემდეგ მან სთქვა, რომ ფრანგებს, რომლებიც რუსეთში იმყოფებოდენ, ამხნევებდა ის აზრი, რომ თუნდაც ბოლშევიკებმა მოინდომოს მთელი ქვეყნის დაპყრობა, საფრანგეთი, რომელიც არ ივიწყებდა, ამხნევებდა თავის შვილებს და შეხძლო მათი განთავისუფლება, გზაზე გადაუდგება მათ.

ყველა ფრანგები ერთხმად ამტკიცებდენ, რომ მთელი რუსეთი დაღუპვის კარზე დგას.

**მოსკოვის ცნობები.**

ფრონტზე.

მოზირის რაიონში ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს ბულაკ ბალახოვიჩის ნაწილების შეტევა. მოზირიდან 45 ვერსტზე, დნესტრის რაიონში პეტლიურას ჯარები შეეცადენ ჩვენს ნაწილებზე თავდასხმას.

სამხრეთის ფრონტზე მზვერავთა გაძლიერებული მოქმედებაა.

შორეულ აღმოსავლეთში.

მოსკოვი. 8 ნოემბ. შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკების კონფერენციამ ჩიტაში აირჩია შორეულ აღმოსავლეთის დროებითი მთავრობა. ყველა პარტიზანებს ბრძანება მიეცა სამხედრო სარდლობას დამორჩილოს ან განიარაღდეს.

მეორე ბრძანებაში გამოცხადებულია, რომ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე სავალდებულო, მიღებისათვის საბჭოთა რესპუბლიკის და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის ფულის ნიშნები. დროებითი მთავრობაში შედიან: კრასნოშჩეკოვი (შორეულ აღმ. რესპუბლიკიდან), ნიკიფოროვი (ვლადივოსტოკიდან), მატვეევი (ამურიდან), უპარტიო გლეხებისგან ივანოვი და ბელოუსოვი და მუშებისაგან კუზნეცოვი და ივანოვი.

მონარქია უნგრეთში.

მოსკოვი 8 ნოემბერი უნგრეთის ნაციონალურმა კრებამ დაადგინა უნგრეთში მონარქია აღადგინოს.

ისპანიაში.

მოსკოვი 8 ნოემბერი, ისპანიის გაზეთები სავსეა ცნობებით ისპანიაში (?) კრიზისის შესახებ. გაზეთები აღნიშნავენ, რომ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ამდენი თავდასხმები, როგორც ისპანიაში, განსაკუთრებით კი ბარსელონაში.

ამერიკის ახალი პრეზიდენტი.

მოსკოვი. 8 ნოემბერი. ხმების დიდი უმრავლესობით შეერთებული შტატების პრეზიდენტად აირჩიეს სენატორი გარდინგი

საფრანგეთის ესკადრა ვრანგელს ეხმარება.

მოსკოვი 8 ნოემბერი. საფრანგეთის ესკადრა, რომელშიც ბედის 6 კრეისერი და რამდენიმე ნაღმოსანი, ვარნასთან გაიარა და სევასტოპოლისკენ გაემართა.

# ლაზისტანი.

ეხლა ლაზისტანს უჭირავს ის ტერიტორია შავი ზღვისა, რომელიც იწყება ძველის დანგრეულის გონიის ციხიდან ქალაქ რიზემდინ. მართალია, ეხლანდელ დროში ლაზელები მოკლებულნი არიან წინანდელ კეთილ-დღეობას და ჩვენ იმათ ვსთვლით მხოლოდ, როგორც კარკ მენავეებს, მეთევზეებად და ბოსტანბაღების მომუშავეებად, მაგრამ იყო დრო, როცა ლაზისტანი წარმოადგენდა შეძლებულ სახელმწიფოს და მის მთლიანობაში შედიოდა არა თუ თითონ ლაზისტანი, არამედ სამეგრელო და გურია—იმერეთის ნაწილები.

ლაზელები ძველ ისტორიაში იწოდება „ჭანებათ“ და მათი ტერიტორია „ჭანეთი“; ლაპარაკობენ თათრულ ენაზედ, მაგრამ მათი დედაენა წარმოადგენს მეგრულ ენას—ცოტა რამ განსხვავებით.

უმეტეს შესანიშნავ ადგილებს ლაზისტანში წარმოადგენენ: 1., გ ო ნ ი ა, 2. ხ ო პ ა, 3. ა რ- ხ ა ვ ე და 4. ა თ ი ნ ე. მათ შორის კიდევ შეგხვდებათ საინტერესო ადგილები, როგორც ს ა რ ფ ი, მ ა კ რ ი ა ლ ი და სხვები.

საჭიროდ ვსთვლით ვსთქვათ რამოდენიმე სიტყვა გონიაზედ. სახელი ამ ციხისა: „გონიე“ წარმომდგარია ბერძნული ენისაგან და ნიშნავს: „კუთხე“. ციხის დარაჯებს, რომელნიც შესდგებოდნენ თათრის მეომრებიდგან, არასოდეს არ ქონიათ წარმოდგენა რომ ვინმემ ინდომოს მათთან შეტაკება, მაგრამ 1654 წელში დონის ყაზახებმა ერთის იერიშით დაამარცხეს ეს დარაჯები და დაიჭირეს ეს შემოკრებული ციხე. ამის წინეთ მოხსენებულ ყაზახებმა 1616 წელში ჩაიგდეს ხელში სეინოპის და სამსუნის ქალაქები და შეიჭრნენ ქალაქ ვარნაშიდაც.

შესახებ გონიეს ციხის დაჭერისა ყაზახებითგან ვრცლად გარდმოგვცემს მ წ ე რ ა ლ ი და მოგზაური „ევლი ეფენდი“.

როცა მოვიდა ტრაპიზონში ამბავი გონიეს ციხის აღებისა, ტრაპიზონის ღუბერნატორმა მაშინვე მისცა ფიცხი ბრძანება ახმედ ფაშას გასადენად მ ო ს უ ლ სტუმრებისა. დიდი გულადობა და მამაცობა გამოიჩინეს ყაზახებმა, მაგრამ შეერთებულ თათრების და მეგრელების მეომრებმა ირგვლივ შემოარტყენ ყაზახების მოდარაჯეებსა და ყოვლის მხრით შეუკრეს მათ გზების გასავლები. დიდი სისხლის ღვრის შემდეგ თათრებმა მაინც გაიმარჯვეს და ერთი ყაზახიც არ დარჩენილა ცოცხალი.

აი რას ამბობს ამაზედ მოხსენებული ევლი ეფენდი: „შემდგომ ყაზახების გაწყვეტისა, პირველად მე გამოვცადე ბედნიერება მისამართავად სამადლობელი ლოცვისა წ ნაშე წინასწარ მეტყველის მაჰმადისა ამ წმინდა ციხეში!“.

(შემდეგი იქნება).

ქ. მაჭავარიანი.

# ტრაპიზონის ცნობები.

(საკ. კორესპ.)

5 ნოემბერი, ქემალის ჯარში პანიკაა. ბერძნების ჯარმა ანატოლიაში ქ. ბრუსას წინაამდეგ ძლიერი იერიშები დაიწყო.

—— 

— ტრაპიზონის მიდამოებში ყოველ დღე ელიან ძლიერ რაზმის გადმოსხმას.

— ქემალის ჯარის რიცხვი მუდმივად 15-2000-მდე ადის. მაგრამ ქემალის ჯარი არა ჩვეულებრივად იმატებს, მაშინ როცა სადმე რაიმე გამარჯვება ხვდებათ წილად. უკანასკნელ დროს ყარსის აღების გამო ამბობენ ქემალის ჯარის რიცხვი 40,000-მდე ავაო.

# ქემალისტების თავდასხმა სომხეთზე.

სომხეთის რესპუბლიკის ბათომის საკონსულოს ცნობა.

**სომხეთის ფრონტზე.**

თათრების შეტევა გიუმრზე მოვიგერიეთ, მაგრამ ამ ქალაქისათვის აგაბაბის თათრების აჯანყებით შექმნილ საფრთხის გამო, სომხეთის ჯარების სარდლობა დასთანხმდა სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე. სწარმოებს მოლაპარაკება დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. 7 ნოემბრიდან საომარი მოქმედება შეწყვეტილია

# შინაგან საქმეთა მინისტრის და საგანგებო კომისარის ჩამოსვლა.

გუშინ ჩამოვიდენ ბათომში შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ნოე რამიშვილი და საგანგებო კომისარი ბ-ნი ბენია ჩხიკვიშვილი.

მათ თან ჩამოჰყვა ის. რამიშვილი, საგანგებო რაზმის უფროსი ბ-ნი კედია და შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელიარიის დირექტორი ბ-ნი გეგელაშვილი.

მინისტრს სადგურზე პატაკით შეხვდა გენ. მდივანი, ადმინისტრაციის უფროსი პოლკ. ვ. სულაქველიძე, უცხო მისიების, მეჯლისის და პრესის წარმომადგენლები.

ამავე დღეს მინისტრს საუბარი ჰქონდა პრესის წარმომადგენლებთან.

# ხანდისხან.

საკუთარი კორესპოდენტი ქობულეთიდან გვატყობინებს, რომ იქ დააპატიმრეს ერთი „სედაი მილეთელი“, რომელსაც დავით კოპალის მოკვლა ქონდა განზრახული, ამის გამო დავით კოპალს განუზრახავს გ ა მ ა რ თ ო ს ერთი ქართული ლხინი აღმოსავლეთის და ევროპის გემოვნებების შერევით სადაც „ბრძნულ“ ლექსად იტყვის თავის აღსარებას თუ როგორი ღვაწლი დასდო მან ოქროს ვერძის მზიურ მხარეს და თუ რისთვის გადაემტერენ მას „სედაი მილეთლები“

ძველი.

# ქრონიკა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ რესპუბლიკის საზღვრების დასაცავად გამოაცხადა მობილიზაცია 1890-98 წლებში დაბადებულთა. ახალგაზრდების ჯარში მორიგი გაწვევა კი დროებით შეჩერებულია.

სახალხო წარმოდგენების მმართველი წრე დღეს, 10 ნოემბერს მართავს მორიგ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება სით. ჭანტურიაშვილის 3 მოქ. დრამა „ბურუსი“.

განათლების სამინისტრო ატყობინებს საგანგებო კომისარს, რომ თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წ. 16 დეკემბერს მიღებული კანონისა, ყოველ ბეჭდვით სიტყვის ნაწარმოების 12 ცალი უნდა წარუდგინოს განათლების სამინისტროს.

გემი „დონეცი“ ხვალ გაემგზავრება სოხუმისაკენ.

ქალაქის სასურსათო განყოფილების კასაში წარსული თვის განმავლობაში შევიდა 11.924.775 მანეთი.

სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბათომის განყოფილება თბილისში აგზავნის ორ თავის წარმომადგენელს, რომლებიც უნდა დაესწრონ პალატის 14 ნოემბრის სხდომაზე, რომელზედაც სხვათა შორის გაირჩევა საკითხი ბათომის განყოფილების შესახებ.

დარა.

ამ დღეებში ბეჭვდითი ორგანოებზე შემოღებული იქნება წინასწარი სამხედრო ცენზურა.

ბათომის სასტუმროების, რესტორანების და კაფეების მოსამსახურეები სთხოვენ ბ-ნ საგანგებო კომისარს დაეთმოს მათ დახურულ კაფე შანტანის „პავილიონის“ შენობა ხელმისაწდომ სასადილოს მოსაწყობათ.

წასული თვის განმავლობაში საბეითლო სამკურნალოს სალაროში შემოვიდა 11.272 მანეთი.

ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის ინჟენერს გამოიმუშაოს მოხსენება ბათომის ნავთსადგურის გაფართოების შესახებ, რის შესახებაც სათანადო შუამდგომლობა იქნება აღძრული მთავრობის წინაშე.

მომრიგებელმა კამერამ ქალაქის სანიტარული განყოფილების მოსამსახურეთა საქმის შესახებ დაადგინა: მიეცეს მათ ჯილდო ნამსახურობის მიხედვით და სალიკვიდაციო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ წინასწარ არ გაფრთხილებისათვის.

ბათომის საბინაო კომისიის თავმჯდომარე ისმაილ თევზაძეს უარი განუცხადებია თავის თანამდებობაზე.

საბიუჯეტო სახაზინო ნაწილი ატყობინებს საგანგებო კომისარს, რომ მას გაეხსნა თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებისა კრედიტი 38 მილ. მან.

5 მილ. მან. კრედიტი გაიხსნა განათლების საქმეებისათვის.

🙰 ქალაქის სადეზინფექციო კამერა მოთავსებული იქნება ქალაქის საავადმყოფოს ახლო.

🙰 როგორც ხმები დადის ინგლისელების ოკუპაციის დროს დატუსაღებული ბათომის პროფ. კავშირთა საბჭოს წევრები ამ დღეებში ბათომში დაბრუნდებიან.

🙰 წარსული დღის განმავლობაში შავი ჭირით ავათ არავინ გამხდარა.

სავაჭრო სახლი
ძმ. სესიაშვილები და ამხ.
შერემეტევის ქ. № 74.

კავკასიური
ნატურალური კონიაკი
ვაჭრობა ბითუმათ, ჩოჩქებით და ბოთლობით.

ყურის ღვინო
„რეკორდი“
საუკეთესოდ გაწმენდილი „სავალის“ აპარატებით
ყურძნის არაყი.

ხილის არაყი („ჭაჭა“)

ახლად დამზადებული ახალი ღვინიდან. 🙰 სიყალბის და მიბაძვის თავიდან ასაცილებლათ ფირმა სთხოვს ყველა მომხმარებელთ, მოითხოვონ ბოთლები, რომლებზეც ქარხნის ბეჭედი პრობკაზე მაილია.

## სხვა და სხვა ამბები.

### ლიტვინოვი.

პარიზის გაზეთების ცნობით, ბოლშევიკების დელეგატმა ლიტვინოვმა კოპენგანგაგენის ახლო შეიძინა აგარაკი, თვით ქალაქში კი სახლი, 10000 კრონათ დირებული. ნაყიდობის აქტი შედგენილია ვალახის სახელზე, რომელი გვარითაც ხშირათ სარგებლობს ლიტვინოვი.

### ბოლშევიკები პოდოლიაში.

უკრაინულ გაზეთების ცნობებით ბოლშევიკებმა პოდოლიაში სექტემბერში მრავალი უკრაინელი დახვრიტეს. სოფ. ვიპრიანკაში დახვრიტეს 28 უკრაინელი რკინის გზელი.

### უკრაინის ნაც. რადა.

ტარნოვოში ექიმ ლიპის თავმჯდომარეობით გაიხსნა სრულიად უკრაინის ნაციონალური საბჭო.

### ოდესაში.

ოდესაში ბოლშევიკებმა დახვრიტეს 80 კოოპერატორი, რომლებიც „დნიპროსოიუზის“ კოოპერატიულ ორგანიზაციას ეკუთვნოდენ. მათ ბრალდებათ უკრაინოფილობა, დახვრეტილთა რიცხვში არის „დნიპროსოიუზის“ ოდესის განყოფილების დირექტორი—ბლაჟკოვსკი.

### კიევის გარნიზონი.

კიევის ახლო-მახლო გლეხთა აჯანყებები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ამის გამო უკრაინის სოვნარკომმა კიევის გარნიზონის რიცხვი 18 ათასიდან 35 ათასამდე გაადიდა.

### ნაციათა საზოგადოება და ვილნოს საკითხი.

ნაციათა საზოგადოების კომისიის წევრებს აზრათ აქვთ კანტროლი დააწესონ რათა ხელი შეუშალონ გენ. ჟელიგოვსკის, რომელმაც ვილნო დაიკავა, ვარშავასთან კავშირი იქონიონ.

### ვილნოს დროშა.

ცენტრალურ ლიტვის „მმართველმა კომისიამ“ ლიტვის ეროვნულ დროშათ აირჩია თეთრი და ლურჯი ფერი და ვილნოს ღერბი.

### ვილნოს დაკავების შესახებ.

როგორც პარიზის ზოგიერთი გაზეთები იუწყებიან გენ. ჟელიგოვსკის მიერ ვილნოს დაკავებას ხელი შეუწყვეს პოლონურმა წრეებმა, რომ ამით დაემტკიცებიათ მოკავშირეებისათვის—ვილნო პოლონური ქალაქია, ვილნოს მცხოვრებთ აფარებული პროკლამაციები დაურიგდათ, რომელშიც მოუწოდებდენ თბილი შეხვედრა გაემართათ პოლონეთის ჯარებისათვის.

### მოსკოვში

სათბობი მასალის კრიზის გამო სახალხო განათლების კომისარიატის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს შკოლების მხოლოდ 50 % გაიხსნა.

### საფრანგეთის მუშები.

შრომის საყოველთაო კონფედერაციის ადმინისტრატიულმა კომისიამ გამოიტანა დადგენილება, რომელშიც მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან ზავის შეკვრას, პოლიტიკურ საქმეებზე დატუსაღებულთა განთავისუფლებას და საყოველთაო ამნისტიას.

### მაქსიმალიზმის დამარცხება საფრანგეთში.

საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის კონგრესზე ორლეანში მაქსიმალისტური ფრთა სასტიკად დამარცხდა.

### ხმების უარყოფა.

საზღვარ გარეთის პრესამ ხმები გაავრცელა თითქოს მოსკოვში აჯანყება მომხდარიყოს. ეს ხმები თბილისის ზოგიერთმა გაზეთებმაც გადმობეჭდა, უკანასკნელათ მიღებული პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ ეს ხმები სიმართლეს არ შეეფერება.

### ინგლისი და პოლონეთი.

ინგლისის მთავრობამ ნაწილი იმ ნალმოსნებისა, რომელიც თანახმად საზავო ხელშეკრულებისა გერმანიის მთავრობას უნდა გადაეცა ინგლისის საზღვაო სამინისტროსათვის, პოლონეთს გადასცა.

### შვეციის მუშები.

შვეციის მაღაროებში მომუშავეთა კონგრესზე რეზოლიუცია საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი თანაგრძნობისა უარყოფილი იქნა ხმების დიდი უმრავლესობით.

### საქსონიის დამოუკიდებლები.

საქსონიის დამოუკიდებელ სოციალისტთა კონგრესმა კატეგორიულათ უარყო მესამე ინტერნაციონალში შესვლა.

### ნური ფაშა.

ანატოლიიდან ჩამოსულთა სატყვით, ქემალ-ფაშას ბრძანებით დატუსაღებიათ ცნობილი ნური-ფაშა და გასან-კალეს ციხეში მოუთავსებიათ.

## ყუბანში.

### პარტიზანული ბრძოლა.

ფოსტიკოვის არმიის და ვრანგელის დესანტის ლიკვიდაციის შემდეგ პარტიზანული ომი ყუბანში არ შეწყვეტილა.

ფოსტიკოვის არმიიდან 3000 კაცამდე მას არ გაყვა, მაიკოპის რაიონის მთებში დარჩა და ბრძოლას განაგრძნობს. ეს დარჩენილი რაზმი მტრულად არის განწყობილი, როგორც ბოლშევიკებისადმი ისე ვრანგელისადმი. ამ რაზმს გარდა ყუბანში მოქმედობენ სხვა პარტიზანული რაზმებიც, რომლებმაც არ ინდომეს თავის დროზე გენ. ფოსტიკოვის არმიასთან შეერთება და ახლაც დამოუკიდებლად განაგრძნობენ ბრძოლას.

### ტერორი ყუბანში.

ბოლშევიკები ყუბანში მცხოვრებლებისადმი საშინელ სიმკაცრეს იჩენენ. ჯერ კიდევ ივლისში ისინი დაემუქრენ ხალხს, რომ იმ სოფლების ყველა მამაკაცები, სადაც კი ბოლშევიკების წინააღმდეგ აგიტაციას შეამჩნევენ დატუსაღებული და დახვრეტილი იქნება.

ახლა ამ მუქარას ბოლშევიკები ასრულებენ ცოტაოდენის ცვლილებებით:

დატუსაღებულთ, პატრონების სიმცირის გამო, კი არ ხვრეტენ— ხმლებით ჩეხავენ. ყოველგან მკაცრი ტერორია გამეფებული.

## უცხოეთი.

## ჩეხო-სლოვაკიაში.

### ტ. გ. მასარიკის მიმართვა.

ლეგიონერების მისალმებაზე, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტმა ტ. გ. მასარიკმა მათ მიმართვით უპ სუხა, რომელშიც ვრცლათ შეეხო ჯარის მნიშვნელობას და როლს დემოკრატიულ სახელმწიფოში, მსხვილ წარმოებათა სოციალიზაციას და ლეგიონერების კულტურულ მოთხოვნილებათ.

### პარლამენტის სესია

ჩეხო-სლოვაკიის ახალი კაბინეტი წარუდგა პარლამენტის მუდმივ კომისიას. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ წარადგინა მთავრობის პროგრამა, რომელიც განსახილველათ გადაეცემა პარლამენტს. დეპუტატ ჩეხის (გვარია) მოთხოვნა ნაციონალური კრების დაუყონებლივ მოწვევის შესახებ, უარყოფილი იქნა. უარყვეს აგრეთვე წინადადება, რომლებიც გერმანელებმა შემოიტანეს, მთავრობის დეკლარაციის გარშემო კამათის გახსნის შესახებ

## ინგლისი და საბჭოთა რუსეთი.

„Dailu Mail“ იუწყება, რომ ინგლის-რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულობა უკვე გამომუშავებულია და გადაეცა განსახილველად ინგლისის მინისტრთა საბჭოს. ასეთივე ხელშეკრულების დადების წინადადება მიეცემა ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსაც,—იტალიას და იაპონიას რაც შეეხება საფრანგეთს—ამ მოლაპარაკებაში მას მონაწილეობა არ მიაღია. ხელშეკრულების მუხლები შემდეგია: 1) რუსეთში მყოფ ინგლისელ ტყვეების განთავისუფლება; 2) ორივე მთავრობის ვალდებულებაა არ მიიღონ მონაწილეობა ურთიერთისადმი მტრულ მოქმედებაში; 3) საბჭოთა მთავრობამ უნდა შესწყვიტოს ყოველგვარი პროპაგანდა ინგლისში; 4) საბჭოთა მთავრობა სცნობს ძველი მთავრობის სავაჭრო ვალებს. რაც შეეხება სხვა ვალებს, ხელშეკრულებაში ნაგულისხმევია ყველა ზომები, რაც ინგლისის ინტერესებს იცავს.

რაც შეეხება სავაჭრო ურთიერთობას ალბათ განახლდება მხოლოდ ორი თვის შემდეგ. საბჭოთა წარმომადგენლებს მიეცა უფლება შეიძინონ ინგლისში რუსეთისათვის საჭირო სხვა და სხვა საქონელი რომლის ფასი უნდა გადაიხადონ ოქროთი, რომელიც კოპენგაგენის და რეველის ბანკებში ინახება.

„Times“-ი იუწყება, რომ ლონდონის გავლენიანმა ფინანსისტებმა და ბანკირებმა მოსთხოვეს ლოიდ-ჯორჯს, რომ საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების გამომუშავების დროს, საბჭოთა წარმომადგენლებს მოეთხოვოს სცნონ რუსეთის ყველა ვალები.

### რიაზანოვი.

გაზ. „ტაიმსი“ იუწყება: რიაზანოვი თავისი ცოლის და ლევიტოვის თანხლებით ჩამოვიდა ინგლისში. კრასინი ადრევე სთხოვდა მოსკოვს გამოეგზავნენ მისთვის დასახმარებლათ ექსპერტი. პასუხათ კრასინის თხოვნისა გამოგზავნეს რიაზანოვი და ლევიტოვი.

---

საბჭოთა დელეგაციამ ცნობა მიიღო, რომ მოსკოვში ჩავიდა ამერიკულ მსხვილი ფირმების წარმომადგენელი ვანდერლინი და სახალხო მეურნეობის საბჭოსთან მოლაპარაკება გამართა სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ საბჭოთა რუსეთის დელეგაცია მოლაპარაკებას აწარმოებს იოკშირის ხუთ ფირმასთან საბჭოთა რუსეთისათვის საჭირო ტანსაცმელის შეძენის შესახებ, მაგრამ ამ საქმეს აფერხებს ის გარემოება, რომ ინგლისელებს აშინებს—ბოლშევიკებმა ტანსაცმელი საბჭოთა ჯარისათვის არ გამოიყენონ.

### კრასინი

### საბჭ. მთავრობის მიერ რუსეთის ვალების ცნობის შესახებ.

მანჩესტერის სავაჭრო პალატამ 16 ოქტომბრის სხდომაზე განიხილა საკითხი საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის შესახებ. პალატის აზრით საბჭოთა რუსეთთან არავითარი ხელშეკრულების დადება არ შეიძლება სანამ ის რუსეთის ყველა ვალებს არ სცნობს.

კერძო ბაასის დროს კრასინმა ერთ ინგლისელ ჟურნალისტს განუცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი მზად არის დიდი მსხვერპლი გაიღოს ინგლისის მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობისათვის—მიიღოს თავის თავზე რუსეთის მეფის მთავრობის ყველა ვალების გადახდა. ეს ამბავი მეორე დღეს ერთ კვირეულ გაზეთში დაიბეჭდა. თუმცა კრასინის ბიურომ მეორე დღეს უარყო ეს ცნობა, მაგრამ ლონდონის გაზეთები ამტკიცებენ, რომ კრასინი კერძო მწარმოებლებთან ბაასის დროს ხშირად ატარებს ამ აზრს.

---

სარედაქციო კოლეგია.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ხ. ვ. ხმაევსკისა, მ ხაილოვის ქ № 21, ქ. ბათუმი.